პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება №**

2023 წლის --- ნოემბერი; ქალაქი ბათუმი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" 29-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და $153^3$ მუხლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს** :

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი", დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე**

**დანართი**

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი

**მუხლი 1**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) (შემდგომში – ქონება) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის პროცედურები.
2. ქონება წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

**მუხლი 2**

1. ქონება ექვემდებარება პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ გადაცემას იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარება.
2. ის ქონება, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას ან ვერ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით ქონების მიმღები პირი, უნდა განიკარგოს ან განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3**

1. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებისათვის ქონების გადაცემაზე უფლებამოსილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს სახელით ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია", ასევე ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი" და სსიპ „ბათუმის ბულვარი", მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვისას.
2. ქონების მიმღებს ქონება გადაეცემა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ ქონების მიმღებისა და ქონების გადაცემაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი (თანამშრომელი).

## განმარტებითი ბარათი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი**

**ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, იმ საგნის (საქონლის) კონფისკაცია, რომელიც ამ კოდექსის $153^3$ ან $153^6$ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტი იყო, გულისხმობს მის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას, ხოლო სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.10.2023წ №გ-15.15232975 განკარგულებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა კოდექსის $153^3$ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" თანამშრომლები, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ბათუმის ბულვარი"-ს თანამშრომლები, მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე.
ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი).
დადგენილების პროექტის მიხედვით კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება ექვემდებარება პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ გადაცემას იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარება. ხოლო იქ ქონება რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას ან ვერ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით ქონების მიმღები პირი, უნდა განიკარგოს ან განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
პროექტის მიხედვით დაწესებულებებისათვის ქონების გადაცემაზე უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელით ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექცია"-ს, ასევე, ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღს" და სსიპ ქალაქ ბათუმის ბულვარს" მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილებისამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**დ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობისადმი:**

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

**ე) დადგენილების პროექტის ავტორი:**

ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია".

**ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“<br>სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური<br>რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლაშა<br>მამულაძე**